

„ამირანდარეჯანიანის“ ჰიპერბოლიზაცია შუასაუკუნეობრივი აზროვნების კონტექსტში

თინათინ ლეკიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის პროგრამის დოქტორანტი

lekiashvilit@yahoo.com

რეზიუმე

შუასაუკუნეების ლიტერატურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სასწაული და სასწაულებრივი მოვლენა. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში მრავლადაა სასწაულის მაგალითები, რომლებიც უფლის ძალით ხორციელდება. ამ მაგალითებს უდიდესი დატვირთვა აქვს. ჰაგიოგრაფიის პერსონაჟების წმინდანობა, რაც მათ მიერ აღსრულებული სასწაულებით არის განმტკიცებული, შუასაუკუნეების მკითხველისთვის ისეთივე ჭეშმარიტი და რეალურია, როგორც თავად ჰაგიოგრაფიული ტექსტი, ვინაიდან მკითხველმა იცის, რომ ყოველი ჰაგიოგრაფი ჭეშმარიტების აღწერის პრინციპით მოქმედებს და, შესაბამისად, ეჭვარეშა რაიმე გამოგონილი ან შეთხზული იყოს.

შუასაუკუნეების სასულიერო ლიტერატურის ნიადაგზე განვითარდა საერო მწერლობა. ამ საკითხს ვრცელ მიმოხილვას უძღვნის კორნელი კეკელიძე გამოკვლევაში „წმინდა მხედარი“, აღნიშნავს, რომ საერო ლიტერატურის ჩამოყალიბების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა წინა პერიოდის სასულიერო მწერლობა, რომელიც მეთერთმეტე საუკუნემდე ბატონობდა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შუასაუკუნეების სასულიერო მწერლობისთვის ნიშანდობლივი მრავალი ელემენტი საერო მწერლობაშიც გვხვდება. აგიოგრაფიული ძეგლებისათვის დამახასიათებელი სასწაული თავისი ფორმითა და შინაარსით ნაკლებად შეინიშნება საერო მწერლობის ნიმუშებში, მაგრამ ზებუნებრივის რეალურად მიჩნევის შუასაუკუნეობრივი ხედვა უდევს საფუძვლად საერო ლიტერატურის შეუძლებელი გმირობის - ჰიპერბოლური ქმედების - მოაზრებას ავტორის მიერ და, შესაბამისად, მკითხველის მიერ მიღებას. ვფიქრობთ, საერო მწერლობაში ჩანს შუასაუკუნეების აზროვნების ერთიანი სტრუქტურა, კერძოდ, აგიოგრაფიული მწერლობისთვის დამახასიათებელი სასწაულის მოდელის თავისებური ტრანსფორმირება, რაც, ძირითადად, გამოხატულია საერო ნაწარმოების პერსონაჟთა გმირული მოქმედებების ჰიპერბოლიზაციით.

სტატია ამ კუთხით განვიხილავთ მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანს“. „ამირანდარეჯანიანი“ უხვად შეიცავს გასაოცარ და ფანტასტიკურ ამბებს, შეუძლებელ გმირობებს, რაც თანამედროვე მკითხველისათვის ზღაპრულად და არარეალურად აღიქმება, მაგრამ სრულიად ბუნებრივია იმ პერიოდის, შუასაუკუნეების მკითხველისათვის, ვინაიდან ის ტრადიციით მიჩვეულია სასწაულს, ჰაგიოგრაფიული ტექსტების სასწაულებრივი მოვლენები ჭეშმარიტი და უტყუარი ფაქტია მისთვის. შესაბამისად, სასულიერო მწერლობის საფუძველზე აღმოცენებული საერო ლიტერატურული ძეგლების გასაოცარი, ჰიპერბოლიზებული გმირობანი უცხო აღარ არის შუასაუკუნეების მკითხველისათვის, მეტიც, მისთვის ისეთივე ჭეშმარიტია, როგორც სასულიერო მწერლობის სასწაული.

საკვანძო სიტყვები: შუასაუკუნეები; ჰაგიოგრაფია; საერო მწერლობა; სასწაული; გასაოცარი

1. შესავალი

შუასაუკუნეების ლიტერატურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სასწაული და სასწაულებრივი მოვლენა. ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში მრავლადაა სასწაულის მაგალითები, რომლებიც უფლის ძალით ხორციელდება. ამ მაგალითებს უდიდესი დატვირთვა აქვს. ჰაგიოგრაფიის პერსონაჟების წმინდანობა, რაც მათ მიერ აღსრულებული სასწაულებით არის განმტკიცებული, შუასაუკუნეების მკითხველისთვის ისეთივე ჭეშმარიტი და რეალურია, როგორც თავად ჰაგიოგრაფიული ტექსტი, ვინაიდან მკითხველმა იცის, რომ ყოველი ჰაგიოგრაფი ჭეშმარიტების აღწერის პრინციპით მოქმედებს და, შესაბამისად, ეჭვგარეშეა რაიმე გამოგონილი ან შეთხზული იყოს.

შუასაუკუნეების სასულიერო ლიტერატურის ნიადაგზე განვითარდა საერო მწერლობა. ამ საკითხს ვრცელ მიმოხილვას უძღვნის კორნელი კეკელიძე: „ჩვენში ძველიდანვე, საეკლესიო მწერლობის ბატონობის ხანიდანვე და თვით ამ მწერლობის წიაღში, ისახებოდა ელემენტები და მზადდებოდა ტრადიციები საერო მხატვრული ლიტერატურისა“ (კეკელიძე 1981: 8). კორნელი კეკელიძე თავის გამოკვლევაში „წმინდა მხედარი“ აღნიშნავს, რომ საერო ლიტერატურის ჩამოყალიბების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა წინა პერიოდის სასულიერო მწერლობა, რომელიც მეთერთმეტე საუკუნემდე ბატონობდა. „ეს როლი იყო, ერთი მხრით, ფორმალური ხასიათისა: საერო მწერლობამ სასულიეროსაგან დაიმკვიდრა სავსებით დამუშავებული ლიტერატურული ენა, მან გაიმეორა მისი მთავარი ჟანრები (ეპოსი, ლირიკა) და კომპოზიციური ხერხები; მეორე მხრით - შინაარსობლივი: სატრფიალო-სამიჯნურო და სადევ-გმირო მოტივები, რომელნიც წარმოდგენილი არიან კლასიკური პერიოდის საერო ლიტერატურაში, უკანასკნელმა, ელემენტების სახით, ჰაგიოგრაფიული და აპოკრიფული ბელეტრისტიკიდანაც მიიღო (კეკელიძე 1945: 3).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შუასაუკუნეების სასულიერო მწერლობისთვის ნიშანდობლივი მრავალი ელემენტი საერო მწერლობაშიც გვხვდება. აგიოგრაფიული ძეგლებისათვის დამახასიათებელი სასწაული თავისი ფორმითა და შინაარსით ნაკლებად შეინიშნება საერო მწერლობის ნიმუშებში, მაგრამ ზებუნებრივის რეალურად მიჩნევის შუასაუკუნეობრივი ხედვა უდევს საფუძვლად საერო ლიტერატურის შეუძლებელი გმირობის - ჰიპერბოლური ქმედების - მოაზრებას ავტორის მიერ და, შესაბამისად, მკითხველის მიერ მიღებას. ვფიქრობთ, საერო მწერლობაში ჩანს შუასაუკუნეების აზროვნების ერთიანი სტრუქტურა, კერძოდ, აგიოგრაფიული მწერლობისთვის დამახასიათებელი სასწაულის მოდელის თავისებური ტრანსფორმირება, რაც, ძირითადად, გამოხატულია საერო ნაწარმოების პერსონაჟთა გმირული მოქმედებების ჰიპერბოლიზაციით (თ. ლეკიაშვილი 2020, სპეკალი)

წინამდებარე სტატია სწორედ ამ საკითხს ეძღვნება, ჩვენი თვალსაზრისის დასასაბუთებლად განვიხილავთ მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანს“.

„ამირანდარეჯანიანი“ საფალავნო-სათავგადასავლო მოთხრობათა კრებულია, იგი ქმნის ადამიანის ახალ მოდელს. ესაა უმაღლესი ფიზიკური და სულიერი თვისებებით შემკული ადამიანი, რომლის მოქმედების არე უკიდევანოა. იგი დგას მეფისა და ქვეყნის სამსახურში და გარე სინამდვილესთან მრავალმხრივ კავშირს ამყარებს. ესაა ადამიანის რენესანსული მოდელის პირველსახე (გრიგოლაშვილი 1987: 544).

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ საკითხს, რომ ნებისმიერი ნაწარმოების განხილვა და გააზრება მნიშვნელოვანია იმ ეპოქის მსოფლმხედველობის გათვალისწინებით, რომელშიც

შეიქმნა ესა თუ ის ტექსტი. „ამირანდარეჯანიანი“ გვიანდელი შუასაუკუნეების პირველი საერო ნაწარმოებია, რომელიც ქართულ მწერლობაში ამკვიდრებს მხატვრული გამონაგონის მეთოდს (გრიგოლაშვილი 1987: 544). მთელი სიუჟეტი ემყარება ჰიპერბოლიზებას, როგორც მხატვრული გამოსახვის საშუალებას, მაგრამ აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შუასაუკუნეების მკითხველისათვის ეს არ არის ჰიპერბოლიზება. იმ ეპოქის ადამიანისთვის ტრადიციით მისაღებია სასწაულებრივი ქმედება, ამიტომ მისთვის არ არის გასაკვირი ამირანისა და მისი მეგობრების საოცარი, შეუძლებელი გმირობანი, ის ოდნავადაც არ ფიქრობს ამაზე, საკითხსაც კი არ სვამს.

შუასაუკუნეების აზროვნების დასახასიათებლად ცნობილი ფრანგი მედიევისტი ჟაკ ლე გოფი წერს, რომ შუასაუკუნეების ქრისტიანობის მთავარი ფიგურა იყო ღმერთი. შუა საუკუნეების კაცს უნდა გაეკეთებინა არჩევანი ღმერთსა და ეშმაკს, სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის - რა თქმა უნდა წარმოსახვითი არჩევანი, მაგრამ მაინც ძალიან რეალური იმ დროის ადამიანისთვის (ჟაკ ლე გოფი 1988: 15). ხოლო რუსი მედიევისტი აარონ გურევიჩი წერს, რომ შუასაუკუნეების ნაწარმოების განხილვისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ეპოქაში დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა განსხვავება წარმოსახვითსა და რეალურს შორის. ამ ეპოქის პოეტებისა და მწერლების მონათხრობი მათი მკითხველისათვის იყო ჭეშმარიტი ფაქტი. მკვეთრად არ იყო გამოიჯნული პოეზია და ჭეშმარიტება. ისევე, როგორც არ იყო გამოიჯნული სასულიერო მწერლობა ჩვეულებრივისაგან (გურევიჩი აარონ: 1985: 38)

ვფიქრობ, საინტერესოა, ის ფაქტი, რომ შუასაუკუნეების მსოფლმედველობაზე საუბრისას ჟაკ ლე გოფი ერთმანეთისაგან მიჯნავს ორ ცნებას: “Marvelous” და “Miracle” შორის. პირველი ნიშნავს საოცარს, გასაოცარს, უჩვეულოს. მეორე კი - სასწაულებრივს. ლე გოფი ამბობს, რომ Marvelous არის ის, რაც უჩვეულო და გასაოცარია, მაგრამ არ არის აუცილებელი ღვთიური წარმოშობის იყოს. ეს შეიძლება იყოს ზღაპრული, მისტიკური ან უბრალოდ რეალობისგან განსხვავებული რამ. ხოლო სასწაული არის ის, რაც ღვთის ძალით ხდება (ჟაკ ლე გოფი 1988: 30).

ცხრილის სახით უკეთ დავინახავთ ამ ორი ცნების განსხვავებას.

Marvelous (საოცრება)	Miracle (სასწაული)
შეიძლება იყოს მაგიური, არაჩვეულებრივი, მაგრამ არა ღვთიური.	დაკავშირებულია ღვთის ძალასთან.
გვხვდება საერო ლიტერატურაში, ეპოსებში, ზღაპრებში	გვხვდება რელიგიურ ტექსტებში, წმინდანთა ცხოვრებაში.
ემყარება საოცრების ტრადიციას, მაგრამ შეიძლება არ იყოს წმინდა რელიგიური	რეალობის რღვევა ღვთის ნების მიხედვით

შესაბამისად, თუკი გავითვალისწინებთ ზემოთ მოყვანილ განმარტებებს, ვფიქრობთ, „ამირანდარეჯანიანის“ ჰიპერბოლიზებულ გმირობებს უფრო მეტად გასაოცარი, უჩვეულო ანუ „Marvelous“ მიესადაგება, ვიდრე - სასწაულებრივი.

დავუბრუნდებით მოსე ხონელის ტექსტს. „ამირანდარეჯანიანში“ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით ზებუნებრივი, არაჩვეულებრივი ძალის გამოვლინებას, ჰიპერბოლიზებულ ქმედებას. ნაწარმოების თითოეული კარი ისეთ თავგადასავლებზე მოგვითხრობს, რომლებიც სცდება ყოველგვარ ადამიანურ შესაძლებლობას. რეალური მხარის გარდა, ტექსტი უხვად

შეიცავს ფანტასტიკურ და მითიურ ელემენტებს, რომლებსაც, რა თქმა უნდა, აქვს თავისი დატვირთვა.

ნაწარმოების გმირების მიერ განხორციელებული გასაოცარი ქმედებები, ძირითადად, მხოლოდ მათს ფიზიკურ ძალაზეა დამყარებული. აქ მთელი აქცენტი ძალის დემონსტრირებაზეა გადატანილი, მაგრამ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ როგორც გვიანდელი შუასაუკუნეების ნაწარმოებში, „ამირანდარეჯანიანის“ მთელ ტექსტში ღვთის დიდი რწმენა იგრძნობა. ძალიან ხშირად მოიხსენიება ღმერთი, რომლის იმედიც გმირებს ყოველთვის აქვთ. ისინი ყოველი ბრძოლის დაწყების წინ უფალს ახსენებენ, მას სთხოვენ შეწევნას და ისე გადიან საბრძოლველად. მათ სჯერათ, რომ თავიანთი სიმამაცისა და ფიზიკური ძლიერების გარდა, უფლის შეწევნაც აუცილებელია გამარჯვებისათვის. მაგალითად, ამბრი არაბი ასე მიმართავს იამანის ლაშქარს: „პირნო იამანისნო, ძნელი საქმე მოვიდა ჩვენ ზედა და აწ ღმერთი არის და ჭაბუკობა ჩვენი დამარჩენელი“ (ქართული მწერლობა 1987: 325). აგრეთვე: ხანთა მეფის ბუმბერაზთან ბრძოლაში ამბრი არაბის გამარჯვების შემდეგ იმედი მიეცემათ გმირებს და შესძახებენ: „ვინათაგან ამბრი არაბი ჩვენი პატრონი არის, ჩვენი ვნება არავისაგან ეგების, ერთისა ღმერთისა გარდაის“ (ქართული მწერლობა 1987: 330).

როდესაც ამბრი არაბი ინდო ჭაბუკს დაამარცხებს და იამანეთში მიიყვანს, იამანთა მეფე ხოტბას შეასხამს და ასე ეტყვის ინდო ჭაბუკს: „ღმერთისაგან იქმნა ძლევა შენი, თუარა კაცობრივი ძალი შენ ვერ მოგერეოდაო“ (ქართული მწერლობა 1987: 338). როგორც ვხედავთ, მეფე ღვთის სასწაულს მიაწერს ინდო ჭაბუკის ძლევას. ეს ფრაზა, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ქება-დიდების გამოძახებელია, მაგრამ, ამავე დროს, საინტერესო მომენტია ჩვენი კვლევის საკითხისთვისაც.

როგორც ლაურა გრიგოლაშვილი მიუთითებს, ამირან დარეჯანისძე, მიუხედავად ზებუნებრივი თვისებებისა და ფანტასტიკური გარემოცვისა, რეალისტური სახეა და არა მითოლოგიური. მასში შერწყმულია მითიური ამირანისა და ეპოქის იდეალური გმირის თვისებები. იგი, ერთი მხრივ, ებრძვის მითიურ არსებებს, ხოლო, მეორე მხრივ, თავის მსგავს ფალავნებს, ანუ ამირან დარეჯანისძე ირეალურ ქვეყანაშიც მოქმედებს და, აგრეთვე, „საცხადოშიც“. მაშასადამე, „ამირანდარეჯანიანში“ მითოსური გმირი ეროვნულ და რეალისტურ გმირად არის გადაქცეული და მასში ერთმანეთს კი არ უპირისპირდება „მითოსური“ და „რეალური“, არამედ ერთმანეთის გვერდით არსებობს, „როგორც ერთი საწყისის ორი სხვადასხვა გამოხატულება“. (გრიგოლაშვილი 1987: 539). ნაწარმოებში მითოსური ელემენტი რეალისტურად არის გააზრებული და „ქმნის არაჩვეულებრივ გარემოს გმირის არაჩვეულებრიობის წარმოსაჩენად“ (იქვე: 539).

„ამირანდარეჯანიანის“ გმირები შეუპოვარი მეზრძოლები არიან, მათთვის არ არსებობს არანაირი დაბრკოლება (ჩაკუნაშვილი 2011: 45), ერთნაირი სიმამაცით უმკლავდებიან ერთსაც და ათასსაც. თითოეული მათგანი ხშირად ხვდება უთანასწორო ბრძოლაში, რომელიც ყოველთვის მისი გამარჯვებით მთავრდება. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს:

„ბადრი იამანისძის ამბავში“ ზღვათა მეფის ასულის მოსაპოვებლად წასული მეზრძოლები გზად უამრავ ბრძოლას გადაიხდიან, როდესაც რამდენიმე დღის სავალზე მიუახლოვდებიან სამეფოს, გადაწყვეტენ, ყოველ ღამეს ერთი მეზრძოლი დარჩეს ფხიზლად. მთხრობელი იხსენებს, რომ პირველ ღამეს ის დააყენეს: „დააყენეს მე. თავის ქება არა ხამს, განა არა უბადოდ ვიყავ. დილასა ნახა მეფემან, დიადი კაცი მეხოცა და ცხენი. დამიმადლა. ვიარეთ იგი დღე. მიმწუხრდა. თქვა უსიბ: „აქა ტალა გვინდაო“. დადგა თვით უსიბ და დიდი ომი გარდაიხადა.

მადლი უბრძანა ბადრი. და ვლეთ სამი დღე. და მოახსენა უსიბ: „აქა კარგი ტალა გვინდაო“. დადგა ინდო ჭაბუკი და ორი ეგზომი ლაშქარი მოვიდა და განაღამცა დაეხოცნა. და ვლეთ დღე მეოთხე. და ხენი იყვნეს შვენიერნი და წყარო გამოდიოდა ძირსა მათსა. მეფემან ბრძანა: „ამას ღამე ჩვენი სადგომი აქა არისო“. უსიბ მოახსენა მეფესა: „ლომო ლომთაო, ესე ბრძანე და ამას ღამე ტალა შენდა არისო“. დადგა ტალას მას ღამესა. არცა გვესმა ხმა, არცა ჟღავილი. ოდეს დილას ვნახეთ, რომე ჩვენ ყველას გვეხოცა, სამი ეგზომი მარტოსა დაეხოცა“ (ქართული მწერლობა 1987: 298).

ამბრი არაბის ამბავში“ მეკობრეებთან ბრძოლა ასეა აღწერილი: „წაუძღვა იგი კაცი და წავიდა ამბრი არაბი და ყმა მისი აბუტარ. და ნახეს, რომე მინდორსა შიგან გამოვიდოდეს დიდნი ლაშქარნი მეკობრენი, სამი ათასი ცხენოსანი. მოახსენა აბუტარ: „ დადგე, ცოტა ყმა ხარ და ნახო შენისა მონისა და გამზრდელის ომიო“. გაიწყო გული ამბრი აბუტარისათვის და უბრძანა: „ვირე არა გამომცადო, მაგას ნუ იტყვიო!“! შეუტივეს ორთავე და, თავმან თქვენმან, მოკლეს ათას-ათასი კაცი და სხვანი ძლივ გარდაეხვეწნეს. მაშა, თუმცა ლომი იყო აბუტარ და მრავალგან დამხდურ იყო, თავმან თქვენმან, ეგრე არა გვანდა ამბრის, ვითამცა ბედითი ვინმე ყოფილიყო“ (ქართული მწერლობა 1987: 322).

როდესაც ამირან დარეჯანისძე და იამან ჭაბუკი ერთმანეთს შეეხნენ, „გაიყვანა ცხენი იამანმან ჭაბუკმან, შემოუტივა, დაჰკრა ცხენისა თავსა დარეჯანისძისასა და მოჰკვეთა თავი სრულად და ჩამოაგდო. რა ესე მოინახა იამანისა ჭაბუკისაგან ამირან დარეჯანისძემან, მიჰყო ხელი გულმწყრალმან და უკანასა ფერხსა მოეკიდა ცხენისა მისისასა, უკუზიდნა და ქვეყანასა დაჰკრა ცხენი და კაცი ორივე“ (ქართული მწერლობა 1987: 366).

ასეთი ეპიზოდები მრავლად გვხვდება ნაწარმოებში. მართალია, მთხრობელები მიუთითებენ თითოეული გმირის საკვირველ ძალასა და სიმამაცეზე, აღნიშნავენ, რომ არასდროს უნახავს კაცის თვალს მსგავსი ბრძოლები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ყველაფერი ნაწარმოებში ისეა მოწოდებული, როგორც სავესებით რეალური ამბავი.

შუასაუკუნეებში სასწაულმა დეფორმაცია განიცადა და საკმაოდ გააფართოვა თავისი საზღვრები. აქ შემოდიან: დევები, გოლიათები, გველეშაპები, სპილენძის ცხოველები და ფიზიკურად ძლიერი ადამიანები, რომლებიც არ არიან ჩვეულებრივი არსებები, მაგრამ ამგვარი სასწაულებისთვის მზად არის შუასაუკუნეების ეპოქა, იმ ეპოქის მკითხველი (ჩაკუნაშვილი 2011: 45).

„ამირანდარეჯანიანის“ გმირები სიმამაცითა და შეუპოვრობით გამოირჩევიან, ისინი უშიშრად ებრძვიან არა მხოლოდ მეომრებსა და ფალავნებს, არამედ მითიურ და ფანტასტიკურ არსებებსაც, რომლებიც მრავლად გვხვდება ნაწარმოებში(ჩაკუნაშვილი 2011: 45).

ბადრი იამანისძის ამბის მთხრობელი გვიამბობს, რომ როდესაც ზღვათა სამეფოსაკენ მიდიოდნენ, გზად უცნაური მხეცი შემოხვდათ: „მინდორსა შიგან მხეცი პილოს ოდენი. და ორგნითვე თავი და გამოვიდოდა პირისა მისისაგან ცეცხლი. და საზაროდ კმა იყო. შეუტივა [ბადრიმ], დაჰკრა ხმალი ზურგსა და მიწასა შიგან გამოავლო“ (ქართული მწერლობა 1987: 296).

იქვე მოთხრობილია მეორე მსგავსი ეპიზოდი: „ვიარეთ ცოტა ხანი და სხვასა მას ქედსა ზედა წავადგეთ და ჩავხედენით. ორნი ვეშაპნი წვეს დიდნი, ერთი შავი და ერთი თეთრი. თქვა ბადრი იამანისძემან: „შავი - მე და თეთრი - თქვენ სამივე“. აიხვნა ხიშტნი და შეუტივა ცხენი შავსა ბარი იამანისძემან და თეთრსა - ინდომან ჭაბუკმან. შავმან ვეშაპმან შეუტივა ბადრი იამანისძესა ჩასანთქმელად. ჰკრა ხიშტი პირსა და ერთსა მხარსა მიწასა შიგან ჩაასვა.

ინდოსა ჭაბუკსა შეუტივა თეთრმან ვეშაპმან და ჩანთქა ვიდრე წელთამდის და გაიქცა. შეხედნა ბადრი იამანისძემან, მიეწივა, ჰკრა ხრმალი და მოკლა“ (ქართული მწერლობა 1987: 297).

ამირანდარეჯანიანის გმირები ებრძვიან დევებსაც. დევი ქართული ჯადოსნური ზღაპრის განუყრელი პერსონაჟია. იგი ფოლკლორის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ეშმაკი, დემონი, გრძნეული არსება, ბოროტების სათავე. დევი ხშირად გველემშაპის ფუნქციებსაც ითავსებს. ისინი ფლობენ სასახლეებსა და დიდ სიმდიდრეს, ცხოვრობენ მიწისქვეშეთში (ფოლკლორის ლექს. 1974: 144).

ბადრი იამანისძესა და ნოსარ ნისრელს დევები მოიტაცებენ, მათ გამოსაყვანად ამირანდარეჯანისძე გაემართება მეგობრებთან ერთად. სამი დღე იარეს და „დიაცი ვინმე“ შემოხვდათ, იჯდა და ტიროდა, ტირილის მიზეზად კი გმირებს ბადრი იამანისძე დაუსახელა - „მაშინ, იგი ოდეს გრძნებითა შეიპყრნეს დევთა, მე ტყვედ წამომიყვანეს. მაშინდლითგან აქა ვიარები და ამა ეშმაკთა თანა ვარო. აწ ბრძანეთ და სადილი მოგახსენოთ“ (ქართული მწერლობა 1987: 315). გმირები მშვივრები იყვნენ და გაჰყვნენ დიაცს. ქალმა კლდის ძირას მიიყვანა, კარი შეაღო, შევიდა და ამირანიც შეიყვანა, შემდეგ კი კარს დიდი ლოდი მიადგა. მიხვდნენ, რომ დევთან ჰქონდა საქმე. შიგნით ორი დევი დაუხვდა ამირანს. უმცროსი დევი მოკლა და მასთან ერთად ის დიაცი, რათა სხვაც არ ეცდუნებინა.

ამირანდარეჯანიანის გმირები, ფალავნებისა და უცნაური არსებების გარდა, გველეშაპებსაც ებრძვიან.

„ტილისმათა ამბავში“ მოთხრობილია, თუ როგორ შეებრძოლა ამირანდარეჯანისძე საზარელ გველეშაპს. ერთ მშვენიერ წალკოტს გველეშაპი დაპატრონებოდა და მისი შიშით ვერავინ შედიოდა შიგნით. როდესაც ამირანმა შეიტყო ამის შესახებ, გადაწყვიტა, შეებრძოლებოდა მას და მეგობრებთან ერთად გაემართა წალკოტისაკენ. წალკოტს ორი კარი ჰქონდა, ერთს თავად დიდი ვეშაპი იცავდა, ხოლო მეორე კარს -სხვა, პატარა ვეშაპი. „და გამოვიდა იგი ვეშაპი საშინელი, რომელ მისოდენი არა მინახავს. და აეშმოკ პირი და ცეცხლი გამოვიდოდა პირისა მისისაგან. ჰქონდა ხმა საზარელი, ვითა გრგვინვა ცისა. მეორესა კარსა გამოვიდა იგი უმცროსი ვეშაპი. წამოდგეს ზედა კაცნი სპილენძისანი და მათ კაცთაგან გამოვიდოდა ხმა რამე უცხო და საკვირველი“ (ქართული მწერლობა 1987:397). ამირანდარეჯანისძემ კარგი ცხენი მოითხოვა, ორი ხმალი შეიბა და სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ვეშაპი იმდენად დიდი იყო, რომ სავარსამიძე ცხენთან ერთად თავისუფლად იდგა მის ხახაში, მაგრამ ამირანმა „ჰკრა ხმალი და წმიდად გაკვეთა“ (ქართული მწერლობა 1987:399).

როდესაც ვსაუბრობთ ამირანდარეჯანისძის მიერ გველეშაპის დამარცხებაზე, აუცილებლად უნდა შევეხოთ კორნელი კეკელიძის გამოკვლევას „წმინდა მხედარი“, რომელშიც მკვლევარს განხილული აქვს მსგავსი პასაჟები ორი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიდან - გიორგი კაბადოკიელის წამება და თეოდორე სტრატელატის წამება. კ. კეკელიძე პარალელს ავლებს ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებსა და „ამირანდარეჯანიანის“ სადევგმირო ეპიზოდებს შორის და ასკვნის, რომ ძალიან დიდი მსგავსებაა ამ ტექსტებში: „როგორც წმიდა გიორგი და თეოდორე რაინდულ საქმეს ჯერ ღვთისა და ჯვარის დახმარება-შეწევნით ასრულებენ, მერე კი თავიანთი ვაჟკაცობითა და სიმამაცით, ისე ამირან-დარეჯანისძეც“ (კეკელიძე 1945: 12). მეცნიერი იმასაც აღნიშნავს, რომ ზემოთქმული მსგავსება არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს მოსე ხონელმა ჰაგიოგრაფიიდან გადმოიღო კონკრეტული ეპიზოდები. „შესაძლებელია და უფრო საფიქრებელიც, რომ ისინი ერთი და იმავე საერთო „ფონდიდან“ ან „სუბსტრატებიდან“ მომდინარეობენ“ (კეკელიძე 1945:12)

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „ამირანდარეჯანიანი“ უხვად შეიცავს გასაოცარ და ფანტასტიკურ ამბებს, შეუძლებელ გმირობებს, რაც თანამედროვე მკითხველისათვის ზღაპრულად და არარეალურად აღიქმება, მაგრამ სრულიად ბუნებრივია იმ პერიოდის, შუასაუკუნეების მკითხველისათვის, ვინაიდან ის ტრადიციით მიჩვეულია სასწაულს, ჰაგიოგრაფიული ტექსტების სასწაულებრივი მოვლენები ჭეშმარიტი და უტყუარი ფაქტია მისთვის. შესაბამისად, სასულიერო მწერლობის საფუძველზე აღმოცენებული საერო ლიტერატურული ძეგლების გასაოცარი, ჰიპერბოლიზებული გმირობანი უცხო აღარ არის შუასაუკუნეების მკითხველისათვის, მეტიც, მისთვის ისეთივე ჭეშმარიტია, როგორც სასულიერო მწერლობის სასწაული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981
2. კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1945
3. ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“, 1987
4. ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974
5. ჩაკუნაშვილი ნ. 2011 - ნ. ჩაკუნაშვილი, სასწაული შუასაუკუნეების ქართულ სასულიერო და საერო ლიტერატურაში, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი 2011
6. ხონელი მოსე, ამირანდარეჯანიანი, ქართული მწერლობა, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“, 1987
7. Le Goff, Jacques, The medieval imagination, 1988
8. Gurevich, Aron , Categories of Medieval Culture, 1985

The Hyperbolization of Amirandarejaniani in the Context of Medieval Thought

Tinatin Lekiasvili

Doctoral Student in the Program of History of Georgian Literature,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

lekiashvilit@yahoo.com

Abstract

One of the key issues in medieval literature is the miracle and the miraculous event. Hagiographic works abound with examples of miracles accomplished through divine power, and these examples carry great significance. The sanctity of hagiographic characters, confirmed by the miracles they perform, appeared as true and real to the medieval reader as the hagiographic text itself, since the reader knew that every hagiographer operated according to the principle of truth-telling; thus, the possibility of anything being fabricated or invented was out of the question.

Secular literature developed on the foundations of medieval religious writing. Korneli Kekelidze devotes an extensive study to this issue in „The Holy Knight“, noting that in the formation of secular literature, an important role was played by earlier religious writing, which dominated until the eleventh century.

As already mentioned, many elements characteristic of medieval ecclesiastical writing are also encountered in secular works. The miracle, which in hagiographic monuments is strongly marked in both form and content, is less evident in secular writings. However, the medieval perception of the supernatural as real provided the basis for the author's conception of the impossible heroic deed - the hyperbolic act - and for the reader's acceptance of it. We may thus conclude that secular literature reflects a unified structure of medieval thought, specifically, a transformation of the miracle model typical of hagiographic literature, which is expressed primarily through the hyperbolization of heroic actions in secular works.

This article examines „Amirandarejaniani“ by Mose Khoneli from this perspective.

„Amirandarejaniani“ abounds in astonishing and fantastic stories, impossible feats, which to the modern reader appear fabulous and unreal, but to the medieval reader were entirely natural. Conditioned by tradition, the medieval reader perceived miracles in hagiographic texts as true and indisputable facts. Accordingly, the astonishing, hyperbolized heroics of secular literary monuments, arising from the soil of ecclesiastical writing, were not unfamiliar to the medieval audience. Indeed, they were perceived as equally true as the miracles of religious literature.

Keywords: Middle Ages; hagiography; secular writing; miracle; amazing